

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი თავისუფლების N65

25 ივლისი 2019 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალისვილი, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე, შოთა გიორგაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ივანე მამფორია.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გიორგი ივანიაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ დადგენილებაში შევიდა დამატებით ცვლილებები და წარმოგიდგინო ახალ გასწორებულ დადგენილების პროექტს. კერძოდ;

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის (შემდგომში - სარეზერვო ფონდი) ხარჯვის მექანიზმს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სარეზერვო ფონდი იქმნება ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით.

სარეზერვო ფონდის მოცულობას განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო და იგი არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს.

დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით სარეზერვო ფონდის მოცულობის გაზრდა.

რაც შეეხება სარეზერვო ფონდის განკარგვას და მიზნობრიობას სარეზერვო ფონდს, ამ წესის შესაბამისად, განკარგავს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - ვანის მუნიციპალიტეტის მერი.

სარეზერვო ფონდიდან, ამ წესის შესაბამისად, ფინანსდება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ხარჯი, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას და კანონით დაცულ სხვა სიკეთეს;

ბ) სტიქიური მოვლენებისაგან გამოწვეული და გადაუდებელი სანიტარულ-ეპიდემიური ვითარების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით გაუთვალისწინებელი უკიდურესად მძიმე ან/და გადაუდებელ შემთხვევებთან (მათ შორის სარიტუალო მომსახურებასთან) დაკავშირებული ხარჯი;

დ) საგანგებო და საომარი მოქმედების დროს შექმნილი საფრთხეებისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის საევაკუაციო და დაცვითი (მათ შორის ჯანმრთელობის დაცვითი) ღონისძიებები;

ე) ადგილობრივი წარმატებული სპორტსმენებისა და ხელოვნების მუშაკების საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯები, რომლებიც წინასწარ არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტში;

ვ) ადგილობრივი პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებიც განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას და მათი გათვალისწინება შეუძლებელი იყო ბიუჯეტის დამტკიცების დროს ან/და ამ ღონისძიების დაგვიანებით გატარებისაგან გამოწვეული ზიანი არსებითად აღემატება მასზე გასაწევი ხარჯისაგან მოსალოდნელ მატერიალურ სიკეთეს;

ზ) სხვა ისეთი ხარჯები, რომელთა დაფინანსება არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით და რომელიც კანონით აკრძალული არ არის.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი, რომლის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი გატანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

/დანართი N 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განაპირობა ააიპ სარაგბო კლუბ აიეტსა და ააიპ სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებაში განხორციელებულმა რეორგანიზაციებმა.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებებს:

- 1) სარაგბო კლუბ აიეტის დაფინანსება იზრდება 12,0 ათასი ლარით, რაგბის ასაკობრივი გუნდის დამატებასთან დაკავშირებით.
- 2) სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება მცირდება 20,0 ათასი ლარით რაგბისათვის განკუთვნილი ასიგნებებისა და სხვადასხვა სახის ეკონომიების თანხით.
- 3) საბავშვო ბაღების გაერთიანების ასიგნება იზრდება 18,0 ათასი ლარით, ძულუხისა და მიქელეფონის საბავშვო ბაღის პერსონალით დაკომპლექტებისათვის საჭირო ხარჯებით.
- 4) სახელოვნებო განათლების ცენტრის დაფინანსება იზრდება 4,0 ათასი ლარით, კორნელი კეკელიძის სახლ-მემუზეუმში საპირფარეოს მოწყობისა და სხვადასხვა სახის ინვენტარის შესაძენად.
- 5) გარე განათების რეაბილიტაციის თანხა ტენდერში წარმოშობილი ეკონომიის ხარკზე მცირდება 15,0 ათასი ლარით.
- 6) სულორი ვანის სუბსიდია სამეურნეო ინვენტარის შესაძენად იზრდება 2,0 ათასი ლარით.
- 7) მერიის ასიგნება მცირდება 1,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/დანართი N 3/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე